საქართველო

35917-01-2-201809050954

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/35917
05/09/2018

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტროს
აპარატის უფროსს
ქალბატონ **სოფიკო ბელქანიას**

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 25 სექტემბერს - 5 ოქტომბერს, საქართველოს ვიზიტით ეწვევა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებში დამოუკიდებელი ექსპერტი, ბატონი ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზი.

ვიზიტის ფარგლებში, ბატონ ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზს სურს შეხვედრების გამართვა სამთავრობო და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე საპატრიარქოს წარმომადგენლებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ თქვენს უწყებაში დამოუკიდებელ ექსპერტთან შეხვედრის გამართვის შესაძლებლობა და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, გვაცნობოთ შეხვედრის გამართვის თქვენთვის მისაღები დრო და თარიღი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, დამოუკიდებელი ექსპერტი მოამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს.

დანართის სახით გიგზავნით ინფორმაციას დამოუკიდებელი ექსპერტის მანდატისა და მისი ვიზიტის მოდალობების შესახებ.

დანართი: 4 გვერდი.

პატივისცემით,
თეა მაისურაძე

დეპარტამენტის დირექტორი
საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge